



ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. პროფესიული პროგრამის სახელწოდება: ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ)

სულ 1500 საათი, აქედან:

36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისათვის (საკონტაქტო საათი - 525, შეფასების - 52, დამოუკიდებელი - 323).

24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისათვის (საკონტაქტო საათი - 588, შეფასების - 12).

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მეოთხე საფეხურზე დაიშვებიან პირები ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე, ან აქვთ ამავე სპეციალობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დიპლომი.

VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების მეოთხე საფეხურის ტექნიკოსი, რომელსაც შეუძლია:

- დამოუკიდებლად მართოს ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მექანიზმები, მოემსახუროს მათ, შეასრულოს საშუალო სირთულის სამემკეთებლო სამუშაოები.
- დამოუკიდებლად დაშალოს, შეაკეთოს და ააწყოს ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და მექანიზმების მუშა ორგანოები, ძირითადი კვანძები და მექანიზმები.
- დამოუკიდებლად შეასრულოს სამგზავრო, სატვირთო და სამგზავრო-სატვირთო ლიფტების ცალკეული კვანძების მონტაჟი და გაწყობა.
- დამოუკიდებლად შეასრულოს ზემოაღნიშნული ლიფტების ელექტრული მოწყობილობების მონტაჟი და გაწყობა.
- დამოუკიდებლად მოემსახუროს ზემოაღნიშნულ ლიფტებს ექსპლუატაციის პროცესში.
- გამოცდილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით განსაზღვროს მანქანებისა და მოწყობილობების გამართვის, მომსახურებისა და შეკეთებისათვის შესაბამისი სამუშაოების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების საჭიროება.

VII. სწავლის შედეგი:

მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p><i>იცის</i></p> <ul style="list-style-type: none"> • სპეციალობის შესაბამისი მანქანებისა და კვანძების კონსტრუქციული აგებულება და მუშაობის პრინციპები. • სპეციალური მზომი ინსტრუმენტების, ხელსაწყოების და სამარჯვების შესაძლებლობები და გამოყენება. • შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმები და მოთხოვნები. • ტვირთამწევი მანქანებისა და ლიფტების „მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები“. • უცხო ენა ტექნიკური ინფორმაციის წაკითხვისა და გაანალიზებისათვის საჭირო დონეზე. <p><i>აცნობიერებს</i></p> <ul style="list-style-type: none"> • აღნიშნულ სფეროში კონკრეტული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><i>შეუძლია</i></p> <ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებლად დაგეგმოს და შეასრულოს საწარმოო დავალებები ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად. • თანამედროვე და ახალი მზომი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება. • შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების დაცვა კონკრეტული პირობების შესაბამისად.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p><i>შეუძლია</i></p> <ul style="list-style-type: none"> • განსხვავებულ საწარმოო სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების ანალიზი, შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული წინადადებების განხილვა.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p><i>აქვს უნარი აწარმოოს</i></p> <ul style="list-style-type: none"> • ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. • დამოუკიდებლად აითვისოს და ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. • უცხოურ ენაზე მიღებული, პეოფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.
<p>სწავლის უნარი</p>	<p><i>აქვს უნარი</i></p> <ul style="list-style-type: none"> • ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი სწავლის მიმართულებები. • მოიპოვოს ახალი ინფორმაცია, შეისწავლოს, გაანალიზოს და დანერგოს სამუშაო პროცესში. • დამოუკიდებლად შეისწავლოს და გაანალიზოს ტექნიკური დოკუმენტაცია, ტექნოლოგიური რუქები და სხვა დოკუმენტები. • დამოუკიდებლად აითვისოს, მუშაობაში გამოსაყენებელი ახალი მზომი ინსტრუმენტები და აპარატურა
<p>ღირებულებები</p>	<p><i>აქვს</i></p> <ul style="list-style-type: none"> • მექანიკის ინჟინერიის სფეროში მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვის ვალდებულების გრძნობა. • დარგობრივი და საერთაშორისო ტექნიკური ნორმების დაცვის ვალდებულების გრძნობა. • პასუხისმგებლობა მისი ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე. • პატივისცემა თამანშრომლების შრომის მიმართ. • პასუხისმგებლობა ეკოლოგიაზე და გარემოს დაცვაზე.

VIII. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინფორმატიკა	x	x		x		
ინგლისური ენა	x	x		x		
მეწარმეობის საფუძვლები	x		x		x	x
სამანქანათმშენებლო ხაზვა	x	x	x	x		
შრომის უსაფრთხოება	x	x	x		x	
ამწე-სატრანსპორტო მანქანები და ლიფტები	x	x	x	x	x	x
მანქანების ელექტრო-მოწყობილობა, მონტაჟი, ექსპლუატაცია და მომსახურება	x	x	x	x	x	x

IX. სასწავლო გეგმა
I სემესტრი

№	საგნები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					სულ საათების რაოდენობა	
			საკონტაქტო საათები						
			თეორიული / პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური / დასკვნითი შეფასება		დამოუკიდებელი მუშაობის საათები
1	ინფორმატიკა	5	30/30				8	57	125
2	უცხო ენა	5	-/60				8	57	125
3	მეწარმეობის საფუძვლები	5	30/30				8	57	125
4	სამანქანათმშენებლო ხაზვა	3	-/45				8	22	75
5	შრომის უსაფრთხოება	3	30/15				8	22	75
6	ამწე-სატრანსპორტო მანქანები და ლიფტები	8	60/30	60			8	22	200
	ს უ ლ	29	180/180	60			48	257	725

II სემესტრი

№	საგნები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					სულ საათების რაოდენობა	
			საკონტაქტო საათები						
			თეორიული / პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური / დასკვნითი შეფასება		დამოუკიდებელი მუშაობის საათები
6	ამწე-სატრანსპორტო მანქანები და ლიფტები	12				282	8	10	300
7	მანქანების ელექტრომოწყობილობა, მონტაჟი, ექსპლუატაცია და მომსახურება	19	60/45			306	8	56	475
	ს უ ლ	31	60/45			588	16	66	775

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება.

XII. სწავლების მეთოდები:

თეორიული სწავლება;
 პრაქტიკული მეცადინეობა;
 საწარმოო პრაქტიკა.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მეოთხე ან მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინფორმატიკა	მერი მაღალაშვილი	მასწავლებელი
ინგლისური ენა	მანანა ბელთაძე	მასწავლებელი
მეწარმეობის საფუძვლები	შოთა ვეშაპიძე	მასწავლებელი
სამანქანათმშენებლო ხაზვა	მიტროფანე მაღლაკელიძე,	დოქტორი
	მაია ბარბაქაძე	დოქტორი
შრომის უსაფრთხოება	მიხეილ შილაკაძე	დოქტორი
	დავით ბაქრაძე	დოქტორი
ამწე-სატრანსპორტო მანქანები და ლიფტები	მიხეილ შილაკაძე	დოქტორი
	ზურაბ ქაშიაშვილი	დოქტორი
	თეიმურაზ ბუნჩიკაშვილი	დოქტორი
	გიორგი ნადირაშვილი	დოქტორანტი

მანქანების ელექტრომოწყობილობა, მონტაჟი, ექსპლუატაცია და მომსახურება	მიხეილ შილაკაძე	დოქტორი
	დავით ბაქრაძე	დოქტორი
	თეიმურაზ ბუნჩიკაშვილი	დოქტორი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

I სასწავლო კორპუსი, სამშენებლო მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობის #56 მიმართულების #1 (ოთახი ბ-404) და #2 (ოთახი ა-401) ლაბორატორიები, ასევე მიმართულების სასწავლო სახელოსნო (ოთახი ბ-402)

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მომზადებისას პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო მანქანების სიმულატორები (ტრენაჟორები), ხელსაწყოები, იარაღები, თვალსაჩინოებანი, მოქმედი მოდელები და სადემონსტრაციო მასალა - ვიდეოფილმები, კინოფილმები, დიაფილმები.

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება:

საგზაო-სამშენებლო კომპანია შ.პ.ს. „გზატკეცილი“ - მემორანდუმი №54 18.01.11.

შ.პ.ს. „ჯორჯიან ტრანსექსპედიცია“ -მემორანდუმი №53 14.01.11.

იხ. დანართი

XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მეოთხე საფეხურის ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა მეხუთე საფეხურის ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის პროგრამით.